ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: რ. ბ., წარმომადგენელი - ადვოკატი ი. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 144/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი - ადვოკატი მ. მ. /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. მ.-სათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 12 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა რ. ბ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. მომჩივნის წარმომადგენელმა ადვოკატმა ი. ა.-მ 2018 წლის 10 დეკემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი ყოფილი მეუღლე ადვოკატი მ. მ., რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულადაა ცნობილი, რომლისთვისაც მომჩივანს ბრალი აქვს წარდგენილი, საჯაროდ აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას. კერძოდ, მ. მ. სოციალურ ქსელში საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე აქვეყნებს შეურაცხმყოფელ და მუქარისშემცველ ტექსტებს, საჯაროდ იხილავს რ. ბ.-ს სექსუალური ცხოვრების დეტალებს. საჩივრის ავტორის მითითებით, ადვოკატი მ. მ. ამ გზით ცდილობს შური იძიოს მისი მხილების გამო, კერძოდ, რ. ბ.-მ იგი ამხილა

ქმედებებში, რომელთაც მ. მ. ჩადიოდა მთავარი პროკურატურის პროკურორის თანამდებობაზე ყოფნის დროს. რის გამოც გენერალურმა ინსპექციამ მიიღო სამსახურეობრივი შემოწმების დასკვნა და დაადგინა, რომ მ. მ.-ა დაარღვია პროკურორთა ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები და თანამდებობა პირადი მიზნებისთვის გამოიყენა.

1.3 გარდა ამისა მომჩივნის განმარტებით, მ. მ.-ს მიმართ მიმდინარეობს გამოძიება თანამდებობაზე ყოფნის განმავლობაში სავარაუდო ქრთამის აღების ფაქტზე, რაზეც ასევე საჩივრის ავტორმა მისცა მამხილებელი ჩვენება. რ. ბ.-ს განცხადებით, ადვოკატი მ. მ. არამხოლოდ მას, არამედ მის ადვოკატ ი. ა.-საც აყენებს საჯაროდ შეურაცხყოფას, ავრცელებს რა მისი პირადი ცხოვრების ამსახველ ინფორმაციას, საუბრობს მათი სასიყვარულო კავშირის შესახებ, ხელს უშლის ადვოკატს საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, ხოლო თავად მომჩივანზე ახორციელებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

1.4 საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა 2018 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა, რომ რ. ბ.-ის არასრულწლოვანი შვილი, რომელიც მოლდოვაში დედასთან იზრდება, ასევე გახდა მ. მ.-ს მხრიდან ეთნიკური ნიშნით დაცინვის ობიექტი, კერძოდ ადვოკატმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა დისკრიმინაციული ხასიათის კომენტარები. ხსენებული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მომჩივანს მტკიცებულება არ წარმოუდგენია, თუმცა განმარტა, რომ ესეც განხორციელდა 2018 წლის 04 აპრილამდე, სანამ მ. მ. ადვოკატი გახდებოდა.

II სამოტივაციო ნაწილი

2. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

2.1 ადვოკატი მ. მ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი.

2.2 ადვოკატი მ. მ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანდა 2018 წლის 04 აპრილს.

2.3 რ. ბ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 12 ოქტომბერს.

2.4 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის თებერვალში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე გასული არ არის დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

3. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. მ.-ს მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს.

4. სამართლებრივი შეფასება

4.1 საჩივრის ავტორს ადვოკატ მ. მ.-ს მიმართ შემდეგი სახის პრეტენზიები აქვს, რაც ემყარება ადვოკატის მიერ 2018 წლის თებერვალში სოციალური ქსელის ,,ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გაკეთებულ შემდეგ განცხადებებს: მ. მ.-მაა გამოაქვეყნა რ. ბ.-ს შეურაცხმყოფელი და მუქარისშემცველი ტექსტები, საჯაროდ განიხილა მისი სექსუალური ცხოვრების დეტალები; ადვოკატმა დისკრიმინაციული საჯარო განცხადება გააკეთა რ. ბ.-ს არასრულწლოვან შვილზე,

რომელიც იზრდება მოლდოვეთში; მ. მ. რ. ბ.-ს ადვოკატს ხელს უშლის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, შეურაცხყოფას აყენებს და საჯაროდ აქვეყნებს ადვოკატის პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციას.

4.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში." „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით: ,,ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში". ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე." შესაბამისად ადვოკატს პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ქმედებებისათვის, რომელიც მან განახორციელა იმ პერიოდში, როდესაც იგი იყო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი.

4.3 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის 20 ივლისს გაცემული ცნობით №8781 ირკვევა, რომ ადვოკატი მ. მ. /სიითი№..../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრად აღმასრულებელი საბჭოს №233-ე გადაწყვეტილების საფუძველზე ირიცხება 2018 წლის 04 აპრილიდან.

4.4 კომისიის განმარტებით, მ. მ. ადვოკატი 2018 წლის 04 აპრილს გახდა, შესაბამისად, მასზე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი გავრცელდა მოცემული თარიღიდან და ეთიკის კომისია უფლებამოსილია შეაფასოს ადვოკატის ის პროფესიული ქცევა, რომელიც 2018 წლის 04 აპრილის შემდეგ განხორციელდა. საჩივრის ავტორის წარმომადგენლის 2018 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე გაკეთებული განმარტებით დგინდება, რომ სადავო ქმედებები ადვოკატ მ. მ.-ს მიერ ჩადენილია 2018 წლის თებერვალში, შესაბამისად, ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს ისინი.

4.5 რაც შეეხება საჩივრის ავტორის წარმომადგენლის არგუმენტს, რომ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია ადვოკატ მ. მ.-ს სოციალურ გვერდზე მისი ადვოკატად გაწევრიანების შემდეგაც დევს და ეს შეიძლება გახდეს პროფესიული ქცევის წესების ადვოკატზე გავრცელების საფუძველი, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ მ. მ.-ს ქცევა არ ატარებდა განგრძობად ხასიათს, გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე 04 აპრილის შემდეგ არ გაგრძელებულა საჯარო დიალოგი ადვოკატ მ. მ.-ს მონაწილეობით. ამავდროულად, ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსიდან არ შეიძლება გამომდინარეობდეს სოციალურ ქსელში იმ დროს გამოქვეყნებული ინფორმაციის წაშლის ვალდებულება, როცა ქმედების განმახორცილებელი პირი ჯერ კიდევ არ ირიცხებოდა ადვოკატთა ასოციაციის წევრად.

4.6 ეთიკის კომისია დამატებით განმარტავს, რომ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი აწესრიგებს იმ პირთა წრეს, რომელთა მიმართაც ადვოკატის ქცევის ეთიკურობის სტანდარტი მოქმედებს და იგი მოიცავს ადვოკატის ურთიერთობას საკუთარ კლინტთან, სასამართლოსთან, კოლეგასთან, პროცესის მონაწილეებთან. ადვოკატთან პრეტენზია აქვს მის ყოფილ მეუღლეს, რ. ბ.-ს. როგორც საჩივრით დგინდება, განსახილველ საქმეზე მ. მ. არ ყოფილა რ. ბ.-ს ადვოკატი და

მას, როგორც რ. ბ.-ს მეუღლეს, ქმრის მიმართ პროფესიული ვალდებულებები არ ჰქონია. რ. ბ. ადვოკატის ზოგად ზნეობრივ ქცევას ხდის სადავოდ, თუმცა ადვოკატთა პროფესიული ქცევის კოდექსი არ არგეულირებს ადვოკატის ზოგად ზნეობრივ ქცევას და აწესრიგებს მხოლოდ ადვოკატის პროფესიულ ქცევას. შესაბამისად, კომისიის სურვილია საჩივრის ავტორს განუმარტოს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ადვოკატს სადავო ქცევა ადვოკატობის დროს ექნებოდა განხორციელებული, წარმოება შეწყდებოდა რ. ბ.-ს პრეტენზიაზე, რომელიც უკავშირდება მისი მისამართით შეურაცხმყოფელი ხასიათის საჯარო განცხადებებს, რაც გამომდინარეობს მეუღლეთა პირადი ურთიერთობებიდან და არა ადვოკატის პროფესიული საქმიანობიდან.

4.7 საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა 2018 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე ფაქტობრივ გარემოებად მიუთითა, რომ რ. ბ.-ის არასრულწლოვანი შვილი, რომელიც მოლდოვაში დედასთან იზრდება, ასევე გახდა მ. მ.-ს მხრიდან ეთნიკური ნიშნით დაცინვის ობიექტი, კერძოდ მ. მ.-მა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა დისკრიმინაციული ხასიათის კომენტარები. ხსენებული ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად მომჩივანს მტკიცებულება არ წარმოუდგენია, თუმცა განმარტა, რომ ესეც განხორციელდა 2018 წლის 04 აპრილამდე, სანამ მ. მ. ადვოკატი გახდებოდა.

4.8 რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას იმაზე, რომ მ. მ. მის ადვოკატს ხელს უშლის საადვოკატო საქმიანობის განხორციელებაში, შეურაცხყოფას აყენებს და სოციალურ ქსელში საჯაროდ აქვეყნებს ადვოკატის პირადი ცხოვრების შემცველ ინფორმაციას, რ. ბ. ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ პირად იდაოს მოცემულ საკითხზე, ვინაიდან არ წარმოადგენს უფლების დარღვევის სუბიექტს. ადვოკატი ი. ა. უფლებამოსილია თავად მომართოს ეთიკის კომისიას.

4.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №144/18 ადვოკატ მ. მ.-ს მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/